სადისციპლინო გადაწყვეტილება # 69

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

მატჩი	ქუთაისის „აია“ - ბათუმის „ბათუმი“		
შეჯიბრი	დიდი 10		
მატჩის თარიღი	11/05/2025	მატჩის ადგილი	ქუთაისი, აია არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია		

დარღვევის დეტალები			
მოთამაშის სახელი	ვაჟა	მოთამაშის გვარი	თაგაური
კლუბი/გუნდი	ბათუმის „ბათუმი“	დაბადების თარიღი	25-07-1992
მსაჯი/საითინგ კომისრი	მსაჯი შოთა თევზაძე		
ბინძური თამაში	☒ აღიარებულია ☐ არ არის აღიარებული	წითელი ბარათი	☒ აღიარებულია ☐ არ არის აღიარებული
დარღვევა	**9.20 (ბ) მოთამაშეს შეუძლია მოაშოროს რაქს „მღლეტავი“ მოწინააღმდეგე, თუმცა არ აქვს უფლება დააწვეს მას თავის წონით ზემოდან ან მიზანში ამოიღოს მოწინააღმდეგის ქვედა სახსრები/კიდურები.**	წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა ☐ თუ „სხვა“ დააზუსტეთ:	
სანქცია			

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	14/05/2025	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ლევან ჩიკვაიძე, ირაკლი ჩიქავა		
მოთამაშის დასწრება	კი ☒ არა ☐ დისტანციური	კლუბის/გუნდის წარმომადგენლების დასწრება	კი ☐ არა ☐
მოთამაშის წარმომადგენელი		სხვა დამსწრეები;	
მოთამაშის კლუბისთვის/გუნდისთვის განხილვამდე	მატჩის მსაჯის შოთა თევზაძის წითელი ბარათის ოქმი ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა		

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 69

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

მიწოდებული დიკუმენტაცია	

ფაქტობრივი მოცემულობბები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები

(მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის შოთა თევზაძის წითელი ბარათის ოქმი (ციტირება) - N2 ვაჟა თაგაურმა გააკეთა „ნიანგისებური“ გადაყრა რაქში . ქმედება იყო მაღალი საფრთხის შემცველი .(არალეგალური , დიდი ზეწოლა მუხლის სახსარზე) .
2. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა - თამაშის მე-15 წუთზე „ბათუმი“-ს N2 (ვაჟა თაგაური) ჩამოყალიბებულ რაქში ბურთზე ჩასულ მოწინააღმდეგეს („აია“-ს N7) უკეთებს ე.წ. „ნიანგისებრ“ გადაყრას. ვაჟა თაგაური ნახტომით შევიდა კონტაქტში ბურთის ამოსაღებად მოხრილ მოწინააღმდეგესთან, გვერდულად გადაგრიხა და სხეულის წონით დააწვა მოწინააღმდეგეს ბარძაყზე რის შედეგადაც დაზარალებულ მოთამაშეს სახიფათოდ ჩაეკეცა მუხლი.

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

ვაჟა თაგაურმა აღიარა ბინძური თამაშის ფაქტი რომელიც იმსახურებდა წითელ ბარათს. ვაჟა თაგაურის განცხადებით მან თამაშის შემდეგ მოიკითხა ინციდენტის დროს დაშავებული მოწინააღმდეგის მდგომარეობა. ვაჟა თაგაურის განცხადებით იგი სრულიად აცნობიერებს მისი გაუფრთხილებელი ქმედების მაღალი დონის საფრთხეს და შესაძლო ტრავმის სიმძიმეს. მან წუხილი გამოთქვა მომხდარის გამო და მოიბოდიშა სადისციპლინო კომისიის წინაშე.

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 69

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

ფაქტობრივი მოცემულობაზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა
სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების, დამრღვევი მოთამაშის ზეპირი განცხადებების განხილვის და მსჯელობის შემდეგ, სადისციპლინო კომისიამ დადგენილად ცნო „ბათუმი“-ს მოთამაშის ვაჟა თაგაურის მიერ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს 9.20(ბ) (**სახიფათო თამაში რაქში ან მოლში. - ბ) მოთამაშეს შეუძლია მოაშოროს რაქს „მღლეტავი“ მოწინააღმდეგე, თუმცა არ აქვს უფლება დააწვეს მას თავის წონით ზემოდან ან მიზანში ამოიღოს მოწინააღმდეგის ქვედა სახსრები/კიდურები.**) წესის დარღვევა. დარღვევის სიმძიმის განსაზღვრის დროს კომისიამ მხედველობაში მიიღო სახიფათოდ შესრულებული დარღვევის მაღალი საფრთხის დონე და საწყის სანქციად შეარჩია 9.20(ბ) წესის დარღვევისთვის განსაზღვერული შუა ზღვარი. კომისიამ მხედველობაში მიიღო დამრღვევი მოთამაშის გულრწფელი აღიარება, მისი სუფთა სადისციპლინო ისტორია, სამაგალითო ქცევა განხილვის დროს და 9.20(ბ) წესის დარღვევისთვის განსაზღვერული შუა ზღვარით დადგენილი სანქცია შეამცირა 50%.

გადაწყვეტილება

ბინძური თამაში	აღიარებულია ☒ დადგენილია ☐ არ არის დადგენილი ☐ სხვა (აღნიშნეთ) ☐
წითელი ბარათის ტოლფასი ქმედება	აღიარებულია ☒ დადგენილია ☐ არ არის დადგენილი ☐ სხვა (აღნიშნეთ) ☐

სანქცირების პოცესი

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.1 პუნქტის მიხედვით **დარღვევის სიმძიმის შეფასება**

განზრახვის შეფასება– 5.1(ა)-(ბ)	
შეგნებული/წინასწარ განზრახული ☐	**წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი** ☒
დარღვევის გამომწვევი მიზეზები/გარემოებები	
გაუფრთხილებელი ქმედება რაქის გასუფთავების(გადაყრის) დროს.	
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი): 5.1 (დ)	
პროვოცირების არსებობა 5.1 (ე)	
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული 5.1 (ვ)	

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 69

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

ჰქონდა თუ არა მოთამაშის მხრიდან ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა): 5.1 (ზ)
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა): 5.1 (თ)
დაშავებულმა მოთამაშემ სამედიცინო დამარების შემდეგ თამაშის დასრულებამდე გააგრძელა თამაში.
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე 5.1 (ი)
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა; 5.1 (კ)
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა; 5.1 (ლ)
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი. 5.1 (მ)

დარღვევის სიმძიმის ზღვარი.

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით

საწყისი ზღვარი		
ზედა ზღვარი* ☐	შუა ზღვარი ☒	ქვედა ზღვარი ☐
კვირა/თამაში	**6(ექვსი)** კვირა/თამაში	კვირა/თამაში

*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის. 5.3

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:

შესაბამისი შემამსუბუქებელი გარემოებები სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.7

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო; (5.7ა))	**დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;(5.7ბ))**
აღიარა დარღვევა სხდომაზე წუხილი გამოთქვა მომხდარის გამო და მოიბოდიშა სადისციპლინო კომისიის წინაშე.	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;(5.7გ))	**ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში; (5.7დ))**
	სამაგალითო

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 69

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;(5.7ე))	**ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება (5.7ვ))**
თამაშის დასრულების შემდეგ მოიკითხა ინციდენტის დროს დაშავებული მოწინააღმდეგის მდგომარეობა.	

დაკლებული კვირების/თამაშების რ-ბა: 3

კვირების/თამაშების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა :
შესაბამისი შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.8) სადისციპლინო კომისიამ მიიღო სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს 9.20(ბ) პუნქტის დარღვევისთვის შუა ზღვრით განსაზღვრული საწყისი სანქციის 50%-თ შემცირების გადაწყვეტილება.

შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებები: სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.5

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია; (5.5 ა))
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; (5.5 ბ)) (პერსონალური/გუნდური გაფრთხილება)
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება; (5.5 გ))

დამატებითი კვირების/თამაშების რ-ბა:

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 69

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

სანქცია

- სანქცია მოიცავს სადისციპლინო პროცესის დასრულებამდე(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.6) მოთამაშეების/პიროვნებების შეყოვნების პერიოდში შესულ თამაშ(ებ)ს/პერიოდს.

დისკვალიფიკაცია (კვირა/თამაში)სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე)	3(სამი) კვირა/თამაში	წითელი ბარათი საკმარისია ☐
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	15/05/2025	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	დისკვალიფიკაციის დასრულების თარიღი დადგინდება მოთამაშის გუნდის მომავალი სათამაშო სეზონის/სეზონის წინა თამაშების ცხრილის გამოქვეყნების შემდეგ.	
დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები.		
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.21 ბ)		

- სადისციპლინო სანქციის მოქმედების პერიოდში, დასჯილ მოთამაშეს/პიროვნებას თამაშის დროს ეკრძალება რაიმე სახის აქტივობა სათამაშო პერიმეტრში რაგბის თამაშის ნებისმიერ დონეზე. (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.3)

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	15/05/2025

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება 2024-10-31T20-32-08.971Z202324.pdf